



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030188163062321

№ 01-154/თ

15 / მაისი / 2021 წ.

„საქართველოში ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონეული ინფექციის (COVID-19) შესაძლო შემთხვევების გავრცელების (ეპიდემია, პანდემია, ეპიდემიური აფეთქება) პრევენციისა და საექვო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირების მზადყოფნისათვის, სამედიცინო დაწესებულებების მობილიზების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 19 სექტემბრის №01-467/თ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „საქართველოში ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამონეული ინფექციის (COVID-19) შესაძლო შემთხვევების გავრცელების (ეპიდემია, პანდემია, ეპიდემიური აფეთქება) პრევენციისა და საექვო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირების მზადყოფნისათვის, სამედიცინო დაწესებულებების მობილიზების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 19 სექტემბრის №01-467/თ ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და 2³ პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2⁴ პუნქტი:

„2⁴. ამ ბრძანების N1 დანართით განსაზღვრული სამედიცინო დაწესებულებები ვალდებული არიან უზრუნველყონ სამინისტროს პორტალზე - COVMOB.MOH.GOV.GE ყოველი დღის დილის 9:00 სთ-ის მდგომარეობით არსებული ინფორმაციის მომდევნო ერთი საათის განმავლობაში და საღამოს 9:00 სთ-ის მდგომარეობით არსებული ინფორმაციის მომდევნო ერთი საათის განმავლობაში ატვირთვა, სისტემაში არსებული ელექტრონული ფორმის შესაბამისად.“.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე